

> "გენდერული თანასწორობის კონცეფცია" მამაკაცი ღებუტაგების პროტესტი გამოიწვია

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე "გენდერული თანასწორობის კონცეფცია" მამაკაცი ღებუტაგების პროტესტის ფონზე განიხილა.

"გენდერული თანასწორობის კონცეფცია", რომელიც პარლამენტში ღებუტაგმა ქალებმა მოამზადეს, დაღვნილების სახით იქნება დამტკიცებული. კონცეფციის ავტორები, პარლამენტარები გუგული მალრაძე და ქეთი მახარაშვილი აცხადებენ, რომ ქვეყანაში დემოკრატიის სწორად განვითარებისათვის ერთ-ერთი სავალდებულო პუნქტია, როდესაც სახელმწიფოს "გენდერული თანასწორობის კონცეფცია" აქვს.

"ტროლეიბუსში აღვილი მე უნდა დავითმით, 8 მარტს ყვაილეები მე უნდა მოგართვათ, ხელზე მე უნდა გეამბოროთ, ფული ოჯახში მე უნდა შემოვიტანო და კოლეუ

ქალებისა და მამაკაცების თანასწორობაზე საუბარი ცოტა უხერხულია" - აღნიშნა პარლამენტარმა ბესო ჯულელმა და კონცეფცია გააკრიტიკა.

ბესო ჯულელი მიიხნევს, რომ საქართველოში ქალი ყოველთვის მალა იდგა მამაკაცზე და მისი უფლებების ჩაწერა გენდერულ კონცეფციაში არასწორია.

გუგული მალრაძე ნახევარი საათის განმავლობაში ცდილობდა დაერწმუნებინა მამაკაცი ღებუტაგები იმაში, რომ სახელმწიფომ განვითარების ერთნაირი პირობები უნდა შეუქმნას მამაკაცსა და ქალსა და ხელი უნდა შეუწყოს ქალის პოლიტიკურ პროტესტებში ჩართვას, ქალისათვის პოლიტიკური განათლების მიღებას და საზოგადოებრივ მონაწილეობას.

გუგული მალრაძის განცხადებით, ქალი არჩევანში არ უნდა იყოს შემლუღელი, სახელმწიფომ მან ხელი უნდა შეუწყოს როგორც დეკრეტული შევბულებების სახით, ასევე სამუშაო დღის სწორად გადნაწილების სახითაც.

"გენდერული თანასწორობის კონცეფციას" თელავის მაჟორიტარი ღებუტაგი და პარლამენტარი თამაზ ხილაშელიც აპროტესტებდა. მისი განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრულია ყველა ის დეგალი, რომელიც კონცეფციაში დევს.

"ნებისმიერმა მამაკაცმა, რომელიც ნამღვილი მამაკაცია, არ შეიძლება ქალის წინაშე ქელი არ მოიხაროს და, შესაბამისად, ქელმოსრილ მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობა ვერანაირ შემთხვევაში ვერ იქნება" – განაცხადა ხილაშელმა.